№ 141. 8 ივლისი, ოთხშაბათი. 1866—1881 8 ივლისი, ოთხშაბათი. № 141.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია

გორაგინის ბრილიანტზეთ. ივ. შუხრანოვის ხახლებში ელეფების ქვეშოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“, „ივერიაში“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში-ივერიაში“ აგენტთან ი. ჭეონიანთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“ და „ივერია“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „ივერია“	7 მან.	4 მ.	2 მ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. წერილ-ბრილ ასოთ მოკლეულთ ასოზე ნახევარ-კაპ., „ბრილიანტ“ ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივ მოითხოვს, რედაქცია განაწყრენს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და უბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დაუბრუნებს ეტყობა.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

არწრუნის თეატრში

პარასკევს, 10 ივლისს

ქართული დრამატიული ტრუპის

არტისტკა

მ. ე. საფაროვისა

გამართავს წარმოდგენას

კ. მესხის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება პირველად:

I

ქარაფუუტა

სამ-მოქმედებიანი კომედია, ფრანციულიდამ გადმოკეთებ. კ. მესხისაგან.

II

დივერტისმენტი

სხვათა შორის კ. მესხი წაიკითხავს სცენებს იმერეთის ცხოვრებიდამ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8½ საათზედ.

ტელეგრამები

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პარიზი, 5 ივლისს. გუშინ გაცხარებულ იერიშის შემდეგ, ფრანტუზის ჯარებმა აიღეს სფაქსი და დაიჭირეს დიდ-ძალის ჯარით.

პეტერბურღის ბირჟა, 6 ივლისს.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა—	95	—62
მეორესი— — — —	94	—25
მესამესი — — — —	94	—75
მეოთხესი — — —	94	—62
აღმოსავლეთის პირვ.—	92	—50
აღმოსავლეთის მეორე	92	—12
აღმოსავლეთის მესამე	92	—12
ოქრო, ½ იმპერიალი	7	—78

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	221	—75
მეორე სესხის — — —	220	—75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25	—06 პენსი
ბერლინი — —	215	—25 პფენიგი
ბამბურღი — —	214	—50 ცენტი
პარიჟი — — —	265	—50 სანტიმი
ავკასიის კერასინი — —		—

სოფლის მწარმოებლები

თბილისი, 7 ივლისს.

თბილისის სიძვირის ერთ უმთავრეს მიზეზად, უეჭველია, ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ სოფლის ნაწარმოებს, ხორაგეულს, ქალაქში მცხოვრებ ხალხამდინ პირ-და-პირ ვერ მოულწევია; ამათ შუაში დგანან ვაჭრები, ათასგვარი ჩარჩები, კინტოები და სხვ., რომელნიც ან სოფლებში დადიან და ნახევარ ფასად ჰყიდულობენ ყოველ ნაირ ხორაგეულს ან ქალაქის გზებზე უხვდებიან, თითქმის ძალათ სტაცებენ ხელიდამ, შემოაქვთ მერე ქალაქში და ერთი-ორად, ერთი-ოთხად ჩვენზედ ჰყიდიან.

მაი იმის ბრალი, თუ რომელიმე სოფელი ვერ მოთავსდა სოფელში ან გზაზე ქალაქის ვაჭართან, თვითონ შემოიტანა აქ თავის საქონელი და ჩვენს იარმუკებზე და მეიდნებზე მოინდომა ვაჭრობა! ყოველის მხრით დაესევიან იმას ვაჭრები, კინტოები და ჩარჩები, ზოგი სტაცებს, ზოგი ჩხუბს აუტეხს, ზოგი მესამედ ფასს შეაძლევს და სხვ., თითქო ყველას პირი აქვთ შეკრული, რომ ჩაჩაგრონ, აზარალონ, რომ მეორედ აზრათაც აღარ მოუვიდეს ქალაქში შემოსვლა თავის საქონლითა.

ერთი საყურადღებო მაგალითი გვიანბეს, რომელიც ამ დღეებში მომხდარა:

რამდენსამე მთიულ სოფელს მოუგროვებიათ რაც გასასყიდი მატყლი ჰქონიათ და, რადგან ადგილობრივ მისული ქალაქის ვაჭრები რიგიან ფასს არ იძლეოდნენ, სამი თუ ოთხი სანდო პირი ამოურჩევიათ თავიანთ შორის, დაუდვიათ ურემზე ეს მატყლი და პირ-და-პირ ქალაქში ჩამოუტანიათ იმ იმედით, რომ აქ ხელმისაცემ ფასად გაჰყიდდნენ.

თფილისის ვაჭრებს აბა ამ გვარი ამბავი აბა როგორ გამოეპარებოდა: იმ წამსვე პირი შეუკრათ და ხან ერთი, ხან მეორე მიდიოდა თუ რამე რიყეზე, სადაც მთიულებს მატყლი ჰქონდათ ურმებით და ყველა იმაზე ნაკლებ ფასს აძლევდა, რასაც ადგილობრივ, სოფელშივე, აძლევდნენ. მთიულები ჯერ მაგრად იდგნენ, ზარალით არ უნდოდათ მატყლის გაჰყიდვა, მაგრამ ბოლოს, როცა ფული შემოელიათ, საქონლისა და თავისთავის რჩენა გაუჭირდათ, მეტი რა ძალა ჰქონდათ, თითქმის ნახევარ ფასად დაუთმეს სომეხ-ვაჭარს თავიანთი საქონელი.

და მეორედ, რასაკვირველია, ამათ რკინის ჯაჭვითაც ვეღარ ჩამოიევანთ ქალაქში თავიანთ ნაწარმოების გასასყიდლად!

სადაც ამგვარი წესებია ვაჭრობისა, სადაც სოფლის მწარმოებელი ამისთანა შეეიწროებულ მდგომარეობაშია, სადაც ამ მწარმოებელს, ხელის-მოწყობის მაგივრად, ათას ნაირი დაბრკოლება უხვდება წინ, იქ, რასაკვირველია, სიიაფესა და ქალაქში ცხოვრების გაადვილებას არ უნდა მოველოდეთ.

და მართლაც, მგონი, არსად არ არის ცხოვრება ისე ძვირათ და ღარიბი ხალხი ისე შეეიწროებული, როგორც ჩვენს ქალაქში.

საშუალება ამგვარ მდგომარეობის მოსასპობელად ერთად-ერთია: იმისთანა შენობის ან მეიდნის გამართვა, სადაც სოფლის მწარმოებელს შეეძლოს ჩამოტანა თავის საქონლის და თავის-უფლად ვაჭრობა.

ეს ერთი, მეორე უფრო საჭირო ის არის, რომ სავაჭრო პოლიცია უფრო კარგი, უფრო მარჯვე და

«დროების» ფელეტონი, 8 ივლისს.

ჩვენებმა გამოამგზავნეს!

პარიჟის ცხოვრებიდამ, არეულობის დროს 1848 წელს.

(ი. ტურგენევისა.)

დადგა თიბათვის დღეები 1848 წლისა, ის ხსენებული თიბათვის დღეები, რომელიც სისხლით არის ჩაწერილი საშვილი-შვილოთ საფრანგეთის ისტორიაში...

ის სახლი, საცა მე მაშინ ვიდექ, იტალიის ბულვარზე, ეხლა აღარ არის.

თიბათვის დამდეგსვე ეტყობოდა, რომ არეულობა აუცილებელად მოხდება; ხალხი კმაყოფილი არ იყო მართებლობისა. მაშინ კი, როცა ხალხისაგან ამორჩეულ კაცებმა ელაპარაკეს დროებით მართებლობის წევრს, მარის, და როცა ამან წინდაუხედავათ ლაპარაკში იხმარა სიტყვა „მონები“, ხალხის წინამძღოლებმა ეს სიტყვები მიიღეს საწყენათ და ამის შემდეგ ეჭვი აღარ იყო, რომ არეულობა, უეჭველია, მოხდებოდა; მხოლოთ ნამდვილად არ იცოდნენ, რამდენი დღის ან რამდენი საათის შემდეგ იქნებოდა. ყოველ დილით ერთმანერთს ჰკითხავდნენ: —დღეს ხომ არ უნდა მოველოდეთ არეულობასაო?..

23 თიბათვეს, პარასკევს დილით სარეცხის გამრეცხავმა დედაკაცმა შემომძახა: „—დაიწყესო!“ იმ დედაკაცის ნალაპარაკიდამ შევიტყე, რომ სანდენის ახლოს ამართულია კიდეც ქუჩაზე უშველებელი ბარრიკადა*). მაშინვე გავწიე იქით მხარეს.

ჯერ არაფერი შევამჩნიე; ხალხი ჩვეულებრივ ირევოდა ღია მაღაზიების წინ, კარეტები და ომნიბუსები წამდა-უწამ ჩვეულებრივ დაიარებოდნენ. ყველა ხმა-მაღლა ალტაცებით ლაპარაკობდა და ამ ხალხის მხიარულებამ სწორედ გამაკვირვა. მაგრამ რამდენსაც ვშორდებოდი შუა-გულ ქალაქს, სანახავი იცვლებოდა: კარეტები და ომნიბუსები იშვიათად დადიოდნენ, მაღაზიები ან დაკეტილი იყო, ან პატრონები საჩქაროთ ჰკეტავდნენ; ხალხიც ქუჩაში თან-და-თან ცოტავდებოდა; ყველა სახლების ფანჯრები და კარები ღია იყო. ამ ფანჯრებიდამ და კარებიდამ იცქირებოდა დიდ-ძალი ხალხი, უმეტესი ნაწილი დედაკაცები და ყმაწვილები. ესენი ყვიროდნენ, იცინოდნენ, ხმას აძლევდნენ ერთმანერთს, ხელებს იქნევდნენ და თითქო მოელოდნენ მხიარულ სანახავს. ამათ წითელ-ყვითელ თავმოსახვევებს და ჭრელ კაბებს მზეში კაშკაში გაჰქონდა და ქარი აბრიალებდა.

„—ნუ თუ რამდენიმე წამის შემდეგ აქ უნდა იბრძოლონ, დაღვარონ სისხლი?“ ვკითხავდი ჩემ თავს. „არა, შეუძლებელია!“

მალე მიუახლოვდი იმ ქუჩას, საცა ატანილი იყო ოთხ არშინამდის ბარრიკადა ერთ ბულვრიდამ მეორემდის, ქუჩის სიგანეზე. ამ მაღლად აყვანილ გროვა ქვებიდამ მოჩნდა წითელი დროშა. ბარრიკადასთან ორმოც-დაათ კაცზე მეტი არ იყო. ეს მუშა ხალხი უცინოდა და ელაპარაკებოდა მაყურებელ ხალხს; ერთს ამათგანს, დაიარაღებულს, ეჭირა ბოთლი ხელში და უთავაზებდა ღვინოს გამვლელ-გამომვლელს. მეორე, აქვე მდგომი, ჰყვიროდა:

„— ბამარჯვება ხალხს! ბამარჯვება რესპუბლიკას!“

ამათთან ერთად იდგა მაღალი ტანისა, შავ თვალ-წარბა დედაკაცი ჩაქსულა კაბით; სარტყელში ჩარჭობილი ჰქონდა დამბაჩა. ეს დედაკაცი არ იცინოდა; წინ იყურებოდა გაშტერებით თავის დიდრონი შავი თვალებით. მე და ოთხიოდ ჩემსავით მაყურებლები გადავედით მარცხნივ და მივეფარეთ ფუენეევის ფაბრიკის კედელს, საიდამაც იწყობოდა ბარრიკადა. ფაბრიკა ჩაკეტილი იყო, არავინა ჩანდა იქიდამ.

თუმცა დიდი ხანია მოველოდით, მე მაინც ჩემ თავს არ ვაჯერებდი, რომ დღეს ნამდვილად დაღვრილიყო სისხლი.

---

*) რევოლიუციის დროს აკანუეებული სადგისი ერთს ადგილას აგროვებს ქუჩის ქვებს, მებელს და სხვას და ამით აკავებს ქუჩას, რომ მეორე მხრიდამ ტანკს ებრძოლონს. ამ ქუჩის სიმაგრეს ბარრიკადა ჰქვიან.

პატიოსანი იყოს, ვიდრე ახლაა, რომ ამან დაიცვას სოფლის ხალხი ქალაქის ვაჭრების ძალადობისა და უსამართლოებისგან.

ორიგე ეს ადვილად შესასრულებელია, თუ კი ქალაქის ბამგეობა მოინდომებს და ეცდება...

ახალი ამბები.

ბუშინ, ღამის მეთორმეტე საათზე, შუა-ბაზარში მეათე პოლიციის უჩასტკის პირ-და-პირ გაჩნდა ცეცხლი და პირველ საათამდი ოთხი მაღაზია დაიწვა. ბევრს ეგონა, მთელი ეს რიგობა დაიწოდა, მაგრამ უფრო განგებამ გადაარჩინა, ვინემ ჩვენმა ცეცხლის საქრობ კამანდამ. რა კამანდაა ის კამანდა, რომელსაც ორი ტრუბის (საჭყეპილას) მეტი არა აქვს და ისიც სანახევროდ გაჩერებულია უსაქმოდ, ვერ მუშაობს, რადგან წყალი არა აქვს!

ამბობენ, რომ ცეცხლი პირველად პაპოვის გალანტერეის მაღაზიიდამ დეიწყოვო.

* * *

ამ უკანასკნელ დროს თევზი გაიაფდა ჩვენს ქალაქში. დღემდინ ორ აბაზად იყიდებოდა გირვანქა და დღეს კი აბაზად ჰყიდიან. ხიზილალაც, რომელიც დღემდინ მანეთად იყიდებოდა, ახლა ორ აბაზად გაუხდათ.

* * *

დიდ-უბის სამხიარულო ბაღებშიაც დაიწყეს ქართული წარმოდგენები: „ელდორადოს“ ბაღში ამ დღეებში წარმოადგინეს ორი ფარსი—ეოდეევილი: ვ. აბაშიძის, „ცოლი თუ გინდა, ეს არის!“ და ტერ-ეღიშე ტერ-ასტვაცატურიანცის „კაპიშონი“.

წარმომდგენლები ვიღაც სომხები

„დროების“ კორესპონდენციები

—

სოფ. მარტვილი, 1 ივლისს. სოფელი მარტვილი დ. ხონიდამ საათის სავალზედ არის. 29 ივნისს რამდენიმე არიან და ამათი თამაში, როგორც ადგილს შეეფერება, ისეთია....

* * *

ბაზ. „ოერგის უწყებანი“ გვაცნობებს, რომ ამ წლის პირველ ენკენისთვიდამ ქ. ვლადიკავკაზში გამოვა ახალი რუსული გაზეთი „ვლადიკავკაზის განცხადებათა ფურცელი“. ქვირაში სამი ნომერი გამოვაო და გაზეთში სალიტერატურო განყოფილებაც იქნებაო.

* * *

საფრანგეთის ვიცე-კონსულად ბათუმში დანიშნულია ქან ავრილიან ლაკოსტა.

* * *

ქიზიყიდამ მოგვიყიდა შემდეგი შენიშნვა გაზეთში დასაბეჭდათ:

„ნეტავი ვიცოდე—ტყის მცველს აქვს უფლება სოფლები დაიაროს და სადაც ახალი ნავი და საზოგადოთ ხე-ტყე ნახოს, აწეროს იმ ეჭვით, რომ ესენი უბილეთოთ იქნებიან გამოტანილნიო? ოუნდ უბილეთოთაც იყვეს გამოტანილი ხე-ტყე, აქვს-ლა ტყის მცველს უფლება აწერვისა და ჯარიმის გარდახდევინებისა მაშინ, როდესაც ყოველი ხე სდევს თავის ალაგას? ოუ აქვს უფლება ჯარიმის გადახდევინებისა ამ შემთხვევაში, ვგონებ ის უფლება კი აღარა ჰქონდეს, რომ ამნაირად შეშინებულს გლეხებს გასდასცეს მამასახლისის პირით, რომ შინაურულად მოურიგდნენ მას იგინი.

„ამნაირად მოიქცა ბ. პროტ—ვი სილნაღის მაზრაში“.

დილიდამვე ეტყობოდა, რომ ჯარს აგროვებენ. მალე ბარრიკადასთან ას ნაბიჯზე ჩამწკრივდა ურიცხვი ჯარი. იმათ შუბებს მზეზე კაშკაში გაჰქონდათ.

ოუმცა დიდ ძალი ხალხი მოგროვდა, საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა, არ მოისმოდა არც სიცილი, არც ხმაურობა.

ბარრიკადასა და ჯარის შუა მოწკრიალებულ ალაგს მტვერი ასდიოდა და მარტო ერთი შავი ძაღლის მეტი იქ არა მოჩანდა-რა.

სუყველას სული გაეკმინდა და რაღაც აუცილებელ საშინელებას მოელოდა.

შეცრად ჩემ ზემოთ მოისმა ხმაურობა—რაღაც ფხრაწანი, თითქო ერთბაშად გადახიეს შუაზე დიდი ნაჭერი მიტკლისაო...

აჯანყებულებმა დაიწყეს სროლა ბუენეევის ფაბრიკიდამ.

მეც და ჩემსავით სხვა მაყურებლებიც გაოცებული და შეშინებული საჩქაროდ გავწიეთ მოშორებულ ვიწრო ქუჩისკენ. ის კი დავინახე, რომ მოწკრიალებულ ალაგს ეგდო ერთი ქუდ მოხდილი კარის კაცი და გამტვრიანებული შავი ძაღლი.

ბულვრიდამ მოისმოდა დაუბოლოვებული სროლის ხმა. ჩვენ წინ გაგვირბინა მკვდარისავით გაყვითლებულმა ჯარის კაცმა კენესით და ოხვრით. ალისფრათ სწვეთდა სისხლი იმის მაჯებიდამ...

ეტყობოდათ, რომ აღარ ხუმრობდნენ.

—

მთელი დღე მოუსვენრად გავატარეთ. საშინელი ბული და სიცხე იყო.

მე ფეხს არ ვიცვლიდი ეტალიის ბულვრიდამ. აქ დიდ-ძალ მოგროვილ ხალხთან მოჰქონდათ სხვა-და-სხვა ამბები და ერთი-ორად უმატებდნენ. ბინდისას გადაწყვეტით სთქვეს, რომ ნახევარი პარიჟი აჯანყებულ მუშების ხელშიაო.

ბარრიკადის რიცხვი თან-და-თან მატულობდა. ჯარიც გამზადებული იყო ბრძოლისთვის, თავს არა ზოგავდა.

მეორე დღეს დიდი ცვლილება მოხდა იმ ქუჩებში, რომელიც არ იყო აჯანყებულების ხელში: მოისპო თითქმის ყველა მოძრაობა, რადგან მეგობრები გავემგზავრეთ, დაბა ნოოლალევს, რომელიც თვითონ მარტვილის სობოროის ეკკლესიიდამ ნახევარ ვერსის მანძილზედ მდებარეობს და რომელშიაც მარტვილელები თავიანთ წეველებით ცოტ-ცოტათ იყრიდნენ თავს დილიდამვე. ბამეგონა პეტრეპავლობის ჯარი მარტვილში, მაგრამ ჯერ არ მენახა. ბამეგონა ისიც, რომ აქ, ამ დღეობაზედ უწესოება და ხშირად უბედურებაც ხდებოდა: წასრულ წელში ვიღაც „რევიამ დანელია მოჰკლაო“ და სხვა, მაგრამ ჩემი თვალით არ მენახა. საათ ნახევარს არ გაუვლია ჩვენი მისვლის შემდეგ, ნოოლალევის მინდორი სრულიად გაჯარიანდა; დამები ანგლისურ უნაგირებზედ და კავალრები, ოქროვერცხლით გაჭედილ იარაღებში ჩამსხდარნი, მოუსვენარად დაატარებდნენ მოუსვენარ მერანებს.

როცა მივედით, ორი-სამიოდ პირებისაგან გავიგონეთ: „დღეს ჩხუბი იქნებაო“ და მართლაც მალე შეიქმნა საზარელი კივილ-ჩხივილი შეიქნა ხანჯლების და ხმლების ტრიალი, ტამბაჩების სროლა. საოცარი სურათი იყო! ეველანი ყვიროდნენ „მიოგით“ (დაჭკარით) და ეს სათამაშო მოედანი უეცრად ბრძოლის ველად შეიცვალა. „ეაი!“, დაიძახა ვიღაცამ და დაეცა. რამოდენიმე მინუტის შემდეგ შეწყდა ბრძოლა. ბაცოფებული ხალხი ხმლებით თუ სატვერებით გარემოერტყა რესტორაციას, სადაც დაჭრილები შეიყვანეს, ისინი იყვნენ, როგორც სთქვეს, გვარად დგებუაძები, სამი ძმა, რომლებიც დასჭრეს დღეს ხაინდრაევმა. ბოლოს, როგორც იყო, გამარჯვებული ხაინდრაევები მოშორდნენ შენობას, ერთად შეიკრიბნენ და თავის გმირობაზედ ბაასობდნენ. შეცრად იმათ გუნდიდამ გამოისმა: „ეაიმე, მომკლეს!?“ მყვირალის მარცხენა მხარში სისხლი ნაკადულივით გადმოჩუხჩუხებდა. ეს იყო ოურმე ის პირი, რომელმაც პირველად დგებუაძეებს ჩხუბი აუტეხა; ის ვიღაც ქვეითმა ნამალავად დასჭრა და გაიპარა. ჩხუბს და დავიდარაბას ბოლო არ ეღებოდა, მაგრამ, რაღაც ბედი იყო, შეღამდა და ამ საზარელ მოქმედებას ბოლო მოეღო.

ჩხუბი, დავიდარაბა, უთანხმოება, სისხლი—თამაშის, მხიარულების და ბურთის მაგიერ. ღირს კი ამისთვის მარტვილის ყოველ-წლიური წვეა?..

ალექსანდრე იმერელი.

ქუთაისი, 4 ივლისს. მოგეხსენებათ, ამ წლის დამდეგს, როცა აქაური ქალაქის რჩევა ამტკიცებდა ახალს ხარჯთა-აღრიცხვას, ხმის უმრავლესობით გარდაწყდა, რომ ქალაქის თავის ჯამაგირი შემცირდეს ათასი მანეთით (იყო 4,000) და გამგეობის მეორე წევრისა კი განახევრდეს (ე. ი. 600 მან. დაინიშნოს). ამ ღონისძიების მეტი ვერაფერი მოიპოვა მაშინ რჩევამ ქალაქის ბიუჯეტისათვის დეფიციტის ასაცილებლად, და ისიც აცილებულ იქმნება თუ არა, ნამდვილად—ღმერთმა უწყის; მხოლოდ წლის ბოლომდი ჯერ კიდევ კაი ძალი დროა... ეს კია, რომ ფულის სიუხვე ქალაქის ხაზინაში ახლავე ისეა, როგორც მეფე სოლომონ მეორისაში, რომელიც ახალციხის ფაშისაგან სესხულობდა ოც-და-ათ თუმნობით.

ამ გარემოებამ ახალის საშუალებისათვის მიამართვია ჩვენს ბამგეობას, რომელმაც 30 გასრულ თვისას წარუდგინა მოხსენება რჩევას, რათა ითხოვონ მმართველობის წინაშე, რომ ის ჯარები, რომელნიც კანონელი სიჩუმეა, თითქო სამარეშ წევხარო.

ოორმეტი საათიდამ სხვა სანახაი წარმოგვიდგა: ხშირად გაატარებდნენ ხოლმე დაჭრილებს ან მკვდრებს, ხან მიჰყვანდათ ტუსაღები ახალგაზდა მუშებთაგანი—თავ ჩაღუნულები, რომელნიც ლომსავით ებრძოდნენ ჯარს. შორიდამ მოისმოდა ყვირილი:

„— ბამარჯვება რესპუბლიკას“!

ბინდისას საზარელი ხმა შემოგვესმა; გვითხრეს, რომ მართველობის ბძანებით აჯანყებული მუშები დახვრიტესო.

ძნელი მდგომარეობაა გარეშე მაყურებლებისა. ღამეც ძილი არა გვქონდა; თუ გამოვიდოდით ჰაერის ჩასაყლაპათ, მაშინვე მოგვადგებოდნენ:—ვინა ხართ, სად მიდიხართ, საიდამ ხართ? და გვირჩევდნენ შინ დაბრუნებას.

სწორედ რომ ძნელი დროის დამსწრე ვიყავით.

(დასასრული ხვალ)

ქუდ მოხდილი კარის კაცი და გამტვრიანებული შავი ძაღლი.

ბულვრიდამ მოისმოდა დაუბოლოვებული სროლის ხმა. ჩვენ წინ გაგვირბინა მკვდარისავით გაყვითლებულმა ჯარის კაცმა კენესით და ოხვრით. ალისფრათ სწვეთდა სისხლი იმის მაჯებიდამ...

ეტყობოდათ, რომ აღარ ხუმრობდნენ.

—

მთელი დღე მოუსვენრად გავატარეთ. საშინელი ბული და სიცხე იყო.

მე ფეხს არ ვიცვლიდი ეტალიის ბულვრიდამ. აქ დიდ-ძალ მოგროვილ ხალხთან მოჰქონდათ სხვა-და-სხვა ამბები და ერთი-ორად უმატებდნენ. ბინდისას გადაწყვეტით სთქვეს, რომ ნახევარი პარიჟი აჯანყებულ მუშების ხელშიაო.

ბარრიკადის რიცხვი თან-და-თან მატულობდა. ჯარიც გამზადებული იყო ბრძოლისთვის, თავს არა ზოგავდა.

მეორე დღეს დიდი ცვლილება მოხდა იმ ქუჩებში, რომელიც არ იყო აჯანყებულების ხელში: მოისპო თითქმის ყველა მოძრაობა, რადგან ჯარის უფროსს გამოეცა ბძანება; მარტო ხანდისხან გაივლიდა ან ფოშტის კარეტა, ან ექიმი მიეშურებოდა დაჭრილებისკენ, ან თოფის წამალს გაატარებდნენ. შინდა სახლში მსხდარიყვნენ ყველა უცხო ქვეყნელები, ავათ-მყოფები, დედაკაცები და ყმაწვილები, მერე იმ სახლების ფანჯრებიც უნდა გაეღოთ, როგორც ნაბძანები იყო, რომ აეცილებინათ ეჭვი ვისმეს დამალვისა.

რასაკვირველია, ფრანცუზები კაი დღეში არ იყვნენ. ვინ იცის, იმათი სამშობლო მიწასთან გასწორებულიყო, ერთმანერთი ამოეჟლიტათ, მაგრამ უცხო ქვეყნელი კაცის მდგომარეობა კი, რომელიც არ ერევა ამ ურთიერთ შორის ჩხუბში, უფრო ძნელი ასატანია.

პაპანაქი მზე ადგია ღია ფანჯრებს და კაცს ღონის-ძიება არა აქვს იქიდამ თავი დაახწიოს. ქითხვა, წერა ან რამის გაკეთება შეუძლებელია. ზამდა-უწუმ მოისმის ზარბაზნის სროლა, თოფების ჭექა და ერთმანერთან შეტაკების ხმაურობა. დედა-მიწა გახურებულია მზისაგან. ბარეშემო საშინელი სიჩუმეა, თითქო სამარეშ წევხარო.

ოორმეტი საათიდამ სხვა სანახაი წარმოგვიდგა: ხშირად გაატარებდნენ ხოლმე დაჭრილებს ან მკვდრებს, ხან მიჰყვანდათ ტუსაღები ახალგაზდა მუშებთაგანი—თავ ჩაღუნულები, რომელნიც ლომსავით ებრძოდნენ ჯარს. შორიდამ მოისმოდა ყვირილი:

„— ბამარჯვება რესპუბლიკას“!

ბინდისას საზარელი ხმა შემოგვესმა; გვითხრეს, რომ მართველობის ბძანებით აჯანყებული მუშები დახვრიტესო.

ძნელი მდგომარეობაა გარეშე მაყურებლებისა. ღამეც ძილი არა გვქონდა; თუ გამოვიდოდით ჰაერის ჩასაყლაპათ, მაშინვე მოგვადგებოდნენ:—ვინა ხართ, სად მიდიხართ, საიდამ ხართ? და გვირჩევდნენ შინ დაბრუნებას.

სწორედ რომ ძნელი დროის დამსწრე ვიყავით.

(დასასრული ხვალ)

ნიერი გარნიზონის რიცხვში არ ითვლება, გაიყვანონ ქალაქიდამ *) და ამითი რამდენიმე ათასი მანეთი შეეძინოს ქალაქის თვით-მმართველობის კასსას. რჩევამ ერთხმად მიიღო ეს მოხსენება.

ამავე სხდომაზე ირჩევდენ საკათედრო სობოროის „სტაროსტას“. იმ გარემოების გამო, რომელიც მოხსენებულია „დროების“ № 112-ში, იმერეთის ყოვლად-სამღვდელოს განკარგულებით, სობოროს დეკანოზის მოხსენების საშუალებითა, წინადადება მიეცა რჩევას, რომ მან აირჩიოს ახალი სტაროსტა. შეუდგენენ კანდიდატების დასახელებას წერილებით. დასახელებულ იქმნენ: დავით აბდუშელიშვილი (ნოტარიუსი) 1 ხმით, დიმიტრი ნაზარიშვილი (ექიმი და მოამავალი რედაქტორი „შრომისა“) 1 ხმით, სოლომონ ღულაძე, თურქია და შნეიდერი (ვაჭრებია) თითო ხმით, კ. ჭვარიანი (ვაჭარია) ხუთი ხმით და თვით უწინდელი სტაროსტა ლ. ბ—ძე რვა ხმით. ყველა კანდიდატებმა უკანასკნელის გარდა, უარი განაცხადეს კენჭის-ყრაზე. უყარეს კენჭი ლ. ბაქრაძეს და ამოუვიდა **თერთმეტი** თეთრი და **შვიდი** შავი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომელიც ამ კენჭის-ყრას დაერთო და თვით სასტაროსტო თანამდებობის მნიშვნელობას,—მაშინ, უეჭველია, დიდად არ დავაფასებთ ამისთანა არჩევანს...

შარშან „დროების“ 206 №-ში და წრეულს 89 და 90 №№-ში დაბეჭდილნი იყვნენ წინა სტატიები მეგრელთ თავად-აზნაურობის იმ ფულებზე, რომელიც ამ წოდებისაგან გადადებულ იქმნა გლეხთ განთავისუფლებისათვის მიღებულ ფულებიდამ (2%), 1876 წელში, სკოლებისათვის, მაგრამ, გრაფ ლევაშოვის მანქანობით, მგონი, პრიკაზის უჯრებში ამოჰყვეს თავი: ზემოხსენებული სტატიები იწვევდა სამეგრელოს თავადაზნაურობას ამ ფულის მოსაძებრად და მისის დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად.

ჩვენ ეხლა შევიტყვეთ, რომ ამ სტატიებს მოუხდენიათ სათანადო შთაბეჭდილება და მეგრელთ საპატიო წოდებას ამოურჩევია ორი პატივცემული პირი თვის შორის—თ. მელქისედექ ფაღავა (საადგილ-მამულო ბანკის დირექტორი) და ბ. ჰუულარია და მათთვის მიუნდვია ზემოხსენებული ფულის ამოგება. სრული იმედია, რომ ეს პირნი ვაამართლებენ საზოგადოების აზრს მათზე და დროზედ აასრულებენ ამ საყურადღებო მინდობილებას...

აქ ამ დღეებში გაიხსნა მსწრაფლ მბეჭდავ მაშინიანი სტამბა ბბ. ფერაძისა და ზედგინიძისა, ნიკოლაძის მაღაზიის გვერდით ბულვარის სამხრეთ მხარისკენ. მაშასადამე ახლა ეს მესამე სტამბა არის ქუთაისში. სხვა ორს სტამბებს—ბუბერნიის სამმართველოსას და პ. წულუკიძისას მსწრაფლმბეჭდავი მაშინა არა აქვთ, ასე რომ საფიქრებელია ამ ახალმა სტამბამ მაზანდა წაუხდინოს ძველებს.

ჭ.

*) ამ გვარს ჯარს ეკუთვნის: ხაპიორის ყაზახთა შოლკი და არტილერიის ბატარეა.

ქართულის ენის პროგრამა

ამ წლის „დროების“ № 85-ის მოწინავე სტატიაში იყო, სხვათა შორის, გამოთქმული ის აზრი, რომ თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ყრილობამ თელავის წმ. ნინოს საქალო სასწავლებელს შესწიროს ასი თუმანი მხოლოთ იმ პირობითო, რომ ეს ასი თუმანი მოხმარდეს ქართული ენის განძლიერებას ხსენებულს სასწავლებელში.

ეს აზრი ფრიად მოსაწონი აზრია და ყველასათვის სანატრელი უნდა იყვეს მისი განხორციელება. მე გარკვევით და ნამდვილად არ ვიცი თელავის წმ. ნინოს საქალო სასწავლებლის ღონე და ულონობა ფულების მხრივ და არც ის ვიცი თუ რამდენად რაში საჭიროებს იგი. მე მხოლოდ, როგორც ქართული ენის მასწავლებელი ამ სასწავლებელში, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას ორიოდე სიტყვით ის, თუ როგორ მიმყვანდა ქართული ენის სწავლება წარსულს სასწავლო წელიწადს და უკეთესად როდის წავა იგი. *)

I

თელავის წმ. ნინოს საქალო სასწავლებელში ქართული ენის გაკვეთილი არის **ცხრა**: ორი მოსამზადებელ კლასში, ორი პირველში, ერთი მეორეში, ორი მესამეში და ორიც მეოთხეში.

მოსამზადებელ კლასში არის **სამი** განყოფილება. პირველი განყოფილება შესდგება სრულიად ქართული წერა-კითხვის უმეცართა მოსწავლეთაგან, მეორეში მოსწავლენი უკვე კითხულობენ და სწერენ, ხოლო მესამის განყოფილების მოსწავლენი უკეთესად სწერენ და კითხულობენ და მზადდებიან პირველი კლასისათვის.

სახელმძღვანელოდ გვაქვს **„დედა-ენა“** ბ-ნი ი. ბ—სა.

როდესაც ერთს განყოფილებას ვასწავლი კითხვას, დანარჩენს ორს აქვს წერა. კითხვის დროს ჩემი ყურადღება მიქცეულია მაზედ, რომ მოსწავლეთა ესმოდეთ ყოველი სიტყვა და წინადადება და აგრეთვე, რომ გამოსთქვან მათ სიტყვანი და წინადადებანი ბაღლა, მაგრა და გარკვევით, რომლის მაგალითსაც ჯერ მე ვუჩვენებ და მერე მოსწავლეთა ვამეორებინებ. შემდეგ წაკითხვისა და შინაარსის თქმისა ზეპირიდგან, ლექსიდგან და ანდაზიდგან, სადაც საჭიროდ დავინახავ, გადმოვდიეარ ნამდვილ ცხოვრებაზედ და ვნასკვავ ზნეობით სწავლას, საზოგადო ჭეშმარიტებას, რომელშიც ვაღებინებ მონაწილეობას თვით მოსწავლეთაც სხვა-და-სხვა ჩემი კითხვებით გამოწვეულთ.

რადგანაც ქართულ ენაზედ ხეირიანი დედნები არა გვაქვს და არც ეს უხეირო დედნები მოეპოვება სასწავლებელს, ამისათვის მე თითონ უწერ ხან სიტყვებს და ხან წინადადებასაც ძრიელ მსხვილი ბეჭდური ასოებით კლასის საწერ ფიცარზედ და იქიდგან მოსწავლენი სწერენ ასპიდის დაფებზედ. მესამე განყოფილების მოსწავლენი, შემდეგ ასპიდის დაფებზედ წერაში გავარჯიშებისა, სწერენ ყარანდაშით ქაღალდზედ.

პირველ კლასში ვაგრძელებ და ვათავებ „დედა-ენის“ კითხვას და ხანდის-ხან ვსცვლი მას სხვა პატარა წიგნებითა (მაგ. „ბიბლიოთეკა“ „საყმაწვილო კონა“ „სტვირი“ და სხვანი) და ზოგჯერ მოსწავლეთა ურიგებ სხვა-და-სხვა პატარა წიგნებს შინ საკითხავათაც, რომლების წაკითხვის ანგარიშს თავის დროზედ მოვითხოვ ხოლმე მათ.

კითხვის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ ყველა კლასებში საზოგადოდ ვსცდილობ მოსწავლეებმა წაიკითხონ და სთქვან ყველაფერი ჰაზრიანათ, მაღლა, გარკვევით და შესაფერი კილოთი. პირველ კლასში ვაწყებინებ მოსწავლეთა ნუხსურს წერას ქაღალდზედ კალმით. აქამდისინ, ესე იგი 1880 წლის, ნუხსური ხელი პირველი კლასის მოსწავლეებისა იხატებოდა აღწერაში (ქაღალდზედ თავისი სიტყვით) ჯერ მახლობელი და უფრო ცნობილი საგნებისა და მერე ნაკლებად ცნობილი და შორეული საგნებისა; ხელ-ახლა ამაში ვავარჯიშებ მეორე კლასის მოსწავლეებს, გარნა პირველ კლასში ესცდილობ მხოლოდ ხელის გამართვას და სუფთა წერას ქაღალდზედ, რადგანაც საკუთარი გაკვეთილი სუფთა წერისათვის არა გვაქვს.

მეორე კლასში ვაწყებინებ **„ბუნების კარის“** კითხვას. (ესევე წიგნი არის სახელმძღვანელოდ დანარჩენ კლასებშიაც).

კითხვის მაგალითს ჯერ მე ვუჩვენებ და შინაარსსაც წაკითხულისას ჯერ მე ვიტყვი ხოლმე და მერე ვითხოვ მოსწავლეთაგან გამეორებას, მანამდისინ ყველანი დაისწავლიან. წერაში ვარჯიშობაც იმ ნაირად მიდის, როგორც უკვე ზეით მოვიხსენეთ. წელს მეორე კლასის მოსწავლეთა დასწერეს: „თელავის აღწერა“. „14 იანვარი ჩვენ სასწავლებელში 1881 წ“. ამასთანავე მოხსენებულ სამი კლასის მოსწავლეთა ვასწავლი ზეპირად „ათ-და ხნის შესაფერს სხვა-და-სხვა ლექსებს, მაგ. მეორე კლასში დავასწავლე: „ლოცვა წმ. ნინო ქალწულისადმი“, „სწავლა მოსწავლეთათვის“, „ბრიჭინა და ბიანჭველა“, „მოგონება“, „გაზაფხული“. ხოლო I და II კლასის მოსწავლეთა ვასწავლი ზეპირად წმ. ნინოზედ მოთხრობასაც.

მესამე კლასში წელს მოვასწარით წაკითხვა, გარდა ლექსებისა, ბ. არდაზიანის რომანისა „სოლომონ ისაკიჩ მეჯდანუაშვილი“, მოთხრობისა „ვარინკას ვეჩერი“ „ივერიიდგან“ და დასწერეს თხზულებანი: „იდეა ანუ დედა ჰაზრი მოთხრობისა „ვარინკას ვეჩერი“, „ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა ქვეყნის ამომგდები“, „ზღაპარი“ მასში ჰაზრის ჩვენებით და ახსნით.

მეოთხე კლასში შევასწავლეთ, გარდა ლექსებისა, „სულხან საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე სიცრუის წიგნი“, „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხის ტყაოსანი“, „დიმიტრი თავდადებული“ ბ. ი. ჭ. და „დიდი მოურავიანი“ ბ. ა. ფ. დავაწერინე თხზულებანი: „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე“. „როგორი უნდა იყვეს ნამდვილი დედა?“ და გადავათარგმნინე რუსულიდგან სტატია „მტრედები“.

ქართულ გრამმატიკას ვიწყებ ხოლმე პირველი კლასიდგან და უნდა გათავდეს მეოთხე კლასში.

სამშობლოს ისტორია დავიწყე წელს მესამე კლასიდგან და გავათავე მეოთხე კლასში. საქართველოს ისტორიის გაკვეთილს ვიტყვი ხოლმე ჯერ მე ზეპირად და მერე ვამეორებინებ მოსწავლეებს და დასწავლულს, როცა დრო ექნებათ, დასწერენ ქაღალდზედ; ხანკი მე ვაძლევ ხოლმე მზათ დაწერილს რვეულს კლასში გაკვეთილის დასწავლის შემდეგ. **სახელ-მძღვანველოდ** მაქვს: **„ქართლის-ცხოვრება“**, ბალავინის და ბარათაშვილების ისტორიები და ზოგი ერთი ნომრები „ივერიისა“ და „კრებულისა“.

რადგანაც ამ წერილთანვე პატივცემულ „დროების“ რედაქციაში ვგზავნი დასაბეჭდათ კონსპექტებს ქართული გრამმატიკისას და საქართველოს ისტორიისას, საიდგანაც, ცოტად თუ ბევრად, გაიგებს მკითხველი საზოგადოება მას-თუ, რომელ კლასში რა და როგორ მასწავლებია გრამმატიკიდგან და ისტორიიდგან, ამისთვის ამ წერილში აღარ ვანვაგრძელე ლაპარაკი ხსენებულ საგნების სწავლებაზედ.

(გაგრძელება)

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დიღის **ცხრა** საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს. გაურანსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; **გორანდვეიჩი** და **ლისიცოვი**—შიგნაგან ავათმყოფობისა; **როტინიანცი**—ქალები-

სა და უმაწვილების ავათმოფოობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმოობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტუავის ავათმოფოობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირუგიული ავათმოფ.; რეისი — თვალების ავათმოფოობისა; ბახუტოვი—ბუბიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმოფოობისა; ბეტროვსკი—ვენერიულ ავათმოფოობისა,

ოთხშაბათს. კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმოფოობისა; ქიუჩარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტუავის ავათმოფოობისა.

ხუთშაბათი გავრონსკი—ბუბიაობისა და ქალების ავათმოფ.; როტინიანცი—ქალებისა და უმაწვილების ავათმოფ.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და ბეტროვსკი შინაგან ავათმოფოობისა; ქიუჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმოფოობის.

პარასკევს. მინკევიჩი—სირუგიულ ავათმოფოობის; ბახუტოვი—ბუბიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმოფოობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიმოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათმოფოობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტუავის ავათმოფოობისა.

შაბათი. ლისიცოვი — შინაგან ავათმოფოობის. რეისი—თვალების ავათმოფოობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმოფოობის; ქიუჩარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმოფოობისა.

ობრუსტი — ბიდის ავათმოფოვებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაიბებს საავათმოფოოს ბარათებით.

განცხადებანი

ქალაქის სასწავლებელთა

კომიტეტისაგან

ქალაქის სასწავლებელთა კომიტეტი ამ მომავლის პირველ ენკენისთვიდამ ხსნის ოთხს ახალს პირველ-დაწყებით სასწავლებელსა და მოიწვევს მასწავლებლებს (ქალებსა და კაცებს), რომელნიც ისურვებენ ამ სკოლებში მასწავლებლის თანამდებობისა და თვითონ სკოლების გამგეობის კისრვას.

ჯამაგირი მასწავლებელს ექნება 600 მან. ვისაც სადგომი შეშით ექნება და მოსამსახურე ეყოლება ქალაქის სარჯით, იმათ მიეცემათ ჯამაგირი წელიწადში 450 მან.

ქართველები, სომხები და რუსები ცალკე სკოლებში იქნებიან განაწილებულნი და სწავლა თვითოეულს სკოლაში სამშობლო ენაზედ იქნება.

ამას გარდა კომიტეტისათვის საჭიროა ხუთი კვარტირა სკოლებისათვის შემდეგ უბნებში: სარფუსში, მთა-წმინდაზე და ვერაზე სამ-სამ ოთახიანი სადგომები (რომელთაგან ერთი ოთახი 18 ოთხ-კუთხ საჟენზე ნაკლები არ უნდა იყოს), აგრეთვე ავლაბარში და „კუკიაში— ოთხ-ოთხ ოთახიანი სადგომები (რომელთაგან ორი ოთახი 18 ოთხ-კუთხ საჟენზე ნაკლები არ უნდა იყოს.)

ამ საგნების შესახებ განცხადება ბ.ბ. მასწავლებლებმა და სახლების-პატრონებმა ქალაქის გამგეობაში (უპრავაში) უნდა შემოიტანონ. (3—3)

სიყვარულის კოლა.

ლექსები, კომედია და დაღისტნელი ლეკის ამბავი, თხუზულება დიმიტრი ნადიროვისა. დაიბეჭდა და ისყიდება ქქ. თბილისს, ძუთაისს, ბორს, სილნაღს და ოელავეს წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყველგან ერთი აბაზი. (5—4).

ტაქცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 1 იგლისიდამ 15 იგლისამდის.

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5 კ,
მეორის „	—1 გირ.	$3\frac{1}{2}$

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	$5\frac{1}{2}$
მეორის „	—1 გირ.	4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის.ლავაში	1 ვირ.	$6\frac{1}{2}$
მეორის „ „	—1 გირ.	5 კ.
მესამის „ „	—1 გირ.	$4\frac{1}{2}$

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	9 კ.
მეორის „	—1 გირ.	7 კ.
სუკი — —	—1 გირ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	14 კ.
მეორის „	—1 გირ.	12 კ.

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

ინგლისის მაღაზიაში

მოსახურავი 4 მან., ნასოსები 1 მ., დასაკეცი სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ:, ლუბიოშკები და ბასტილია თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—13)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალდერეიაში

(Maison de confiance)

შეადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის ყველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქადალდოა, სხვაგან კი ქადალდით. (100—12)

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იეიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქადალდოთ და უტეკეოთ. (100—7)

ინგლისის მაღაზიაში.

სოფლისათვის მოსახურავები 4 მან.; დასაკეცი კრესლოები 2 მ. და 50 კაპ. და კრაოტები 8 მანეთიდამ; სკამიანი ჯოხები 4 მან., ღამაკები 14 მან., კრესლოიანი კრავატები 10 მანეთიდამ; ბაკლები 15 კაპ. ეკსტრაკტი-ყავა, კაკაო, თოფები, რევოლვერები, პირის-სახოცები, საწერი მასალეები, კალმები, და სხვ. და სხვ. (10—7)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობაში მიიღება ხელის-მოწერით ფულის შეწირვა რუსის მწერლის ნ. ვ. გოგოლის სახელობაზე სასწავლებლის გასამართავად მირგოროდის უეზდში, სადაც ხსენებული მწერალი დაიბადა. ხელის-მოწერა მიიღება გამგეობის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 1 საათამდინ. (3—2)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ძუთაისს გურეულის წიგნის მაღაზიაში ისყიდება.

სამწერლო

თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭავჭავაძისაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) ბ—სა, V ფერი ფერს—მადლი დმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩიგილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გაგლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოგლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და სუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოგზებისა, ჩაინიგებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუნებისა, საპონისა, შოკ გებისა, ცხვირ-საფოტისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაგინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯრის და კაშმ. მურაბისა, აგრეთვე ჩუდქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავჭავს გიარები. (100—94)

ჯანჯულაზოვების მოსკოველ მოვაჭრეების გექილი

ვ. მ. ლებედინსკი

ჭეისრულობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების წარმოებას თფილისის სასამართლოებში და სამოსამართლო პალატაში რჩევას მუქთად აძლევს.

მთხოვნელებს მიიღებს მუდამ დღე ნაშუადღევის 5 საათიდამ 7-მდინ, შაბათსა და კვირას გარდა. **ადრესი:** გალავინის პროსპ., მირიმანოვის სახლი, „საქართველოს“ სასტუმროში. (6—5)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

Съ 1-го іюля по 1-ое января 1882 года

на ежедневную газету

„ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“

(четвертый годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Въ Тифлисѣ, съ доставкою на домъ 2 руб.
Иногороднымъ съ пересылкою. . . . 4 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи, на Дворцовой ул., въ домѣ Сараджева, съ 7-ми утра до 8-ми часовъ вечера. (12—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Іюля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი